




bsðw̄hsob ðesðaþ



Nº42 (243)

4 ნოემბერი, ორშაბათი,

2019 Vagoo



საკრებულოს სხდომა

29 ოქტომბერს, აღმინისტრაციული სახლის სხდომათა დარბაზში, გაიმართა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა, რომელსაც უძლევებოდა საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ ჯანაშვილი. გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, სხდომაზე სულ სამი საკითხი იყო წარმოდგენილი. ორი მათგანი ეხებოდა მუნიციპალიტეტის ქონების შემდგომი განკარგვის საქმეს, მესამე საკითხით კი ცვლილება შევიდა საკრებულოს მიერ 2018 წლის №114 განკარგულებში. მერიის განხოლების, კულტურის და სპორტის სამსახურის მიერ 2019 წელს განსახორციელებელი სპორტული, კულტურული და ახალგაზრდული ფონისმიერების პროგრამაში.

საკრებულოს მორიგი სხდომა ნოემბრის პირველ დღეებში გაიმართება.




სასარგებლო შეხვედრა გენდერულ საკითხებზე

29 ოქტომბერს, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის გენდერულ საკითხებზე პასუხისმგებელი პირი და გენდერული საბჭოს წევრი ნინო სუხიაშვილი სისიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ხაშურის №3 საჯარო სკოლის VI კლასის მოსწავლებს შეხვდა.

„სასკოლო საუბრები გენდერზე“ პროექტის ფარგლებში, ჯგუფის წევრები იმ საერთაშორისო ოუ ადგილობრივ მექანიზმებს გაეცნენ, რაც ხელს უწყობს გენდერული თანასწორობის მიღწვას.

შესვენდაზე იმსჯელებს CEDAW კონვენციის, გენდერული თანასწორების ქვეყნის განვითარების მიღებას.



რობის და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსეურპლოა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს კანონების თაობაზე.

მერიის წარმომადგენელმა მოსწავლეებს გააცნო სტატისტიკა, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში და მერიაში დასაქმებული პირების შესახებ, რამაც ასევე დაინტერესება გამოიწვია. დაიხვდა კითხვები და გაიმართა საინტერესო დისკუსია.

შეხვედრის ბოლოს, პროექტის ხელმძღვანელმა- პედაგოგმა ანა ძინიძემ აღნიშნა, რომ მსგავსი ფორმატის შეხვედრები მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მოსწავლეებში გენდერულ საკითხებზე ცნობიერების ამაღლებას, აზრის სწორად ფრმირებას, შესაძლებლობების მეტად გააზრებას, მმართველობით სისტემებში მოსახვედრად, გოგონებისთვის მოტივაციის ამაღლებას, არგუმენტებული მსჯელობისა და ანალიზის უნარის განვითარებას.

**მუნიციპალიტეტის მერი ბიოლოგიურ მეურნეობათა
ასოციაცია „ელკანას“ და პროექტის „ზრდა“
წარმომადგენლებს შეხვდა**

28 ብጀትወምፊያኑ ከልማሪው ዘመኖች
በደንብ የሚገኘው የሚከተሉት ደንብ የሚያስፈልግ ይችላል፡፡

გარდაბანის, მცხეთის, კასპის, გორის, ქარელის, ხაშურისა და საჩხერეს მუნიციპალიტეტების იძულებით გადაადგილებული პროგრამით 4 დასახლებასა და 56 სოფელში, რომელთა შორის ხაშურის მუნიციპალიტეტის 13 სოფელია.

„შეცვედრის მიხას წარმოადგებდა „ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივა - მცირე ბიზნესის განვითარების პროექტი 3-ის“ მიმდინარე შედეგების წარდგენა და ახალი კონკურსის გამოცხადება.

პროექტის მიზანია დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მიღებადების გახრივ მდგბარე თემების კეთილდღეობის გადასაცემი.

გაუმჯობესება ბიზნესის წამოწევის
სექტემბრი 2016 წლის 10 დღის
საშუალებით.
ადგინიშნული პროექტი ხელს
შეუწყობს მო-
სახლები კომუნა კური
მდგომარეობის გაუმჯობესებას,
ასევე BP-ის, მის
პარტნიორებს და
USAID-ის პრო-
ექტებს „ზრდა“,
თემებთან ჰარ-
მონიული ურთ-
იერთობების ჩამ-
ოყალიბების ში
დაეხმარება.
პროექტი ხორ-

സൗജ്യം ദാശാ:

აღმინისურაციულ სასაზღვრო ზოგთან მდებარე სოფ-
ტების ქაღაბი ხერისუფლების წარმომადგენილებს შეხვერენ

2019 წლის 25 ოქტომბერს, სასტუმრო „თბილის მერიოტში“, არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალთა საინფორმაციო ცენტრმა“ გამართა შემაჯამებელი შეხვედრა/ტრენინგი „უკუკავშირი გამყოფ ხაზთან მდებარე ხაშურის მუნიციპალიტეტის წაღვლის ოქმის (სოფლები ჩორჩანა და წაღვლი) მოსახლეობასა და საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის“.

შეხვედრაზე წარდგენილი იყო გამოყოფ საზოან მდებარე წაღვლის თემის სოფლების-ზორჩანასა და წაღვლის მოსახლეობის საჭიროებათა კვლევისა და თემში მოქმედი ქალთა საინიციატივო ჯგუფების სამუშაო ღოკუმენტის პრეზენტაციები. ასევე განხილული იქნა კვლევის შედეგად გამოვლენილი პრობლემური საკითხების აღვრკატირების შედეგები და ამ მიმართულებით შემდგომი ნაბიჯების დაგეგმვა.

შეხვედრაზე ასევე განიხილეს გაურის ქადთა ორგანიზაციის „დია კარის დღეზე“ წათვლის თამის სარტყომათვა ენლეპტის მონაცილობის შესაძლებლობა.

წადგლის თემის ყაროვნის დადგენულების მიზანდებულების ქვეაღმიანებების შემთხვევაში და მათ განვითარების მიზნით, შექვედნენ საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე მზია გიორგობიანი; პარლამენტის დამიანის უფლებათა სამდივნოს წარმომადგენელი მერი ქაჯაია; გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისიის წევრი— გიორგი თუმანიშვილი.

შეხვედრა გაიმართა პროექტის „ადმინისტრაციულ სასაზღვრო ზოლთან მცხოვრები ქალების მონაწილეობა კარგი მმათველობისთვის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ქალთა საინფორმაციო ცენტრი“ აგენტრის განვითარების სააგენტოს ხელშეწყობით.



ჩატარებული მაქს საბჭოს 3 სედომა და რამდენიმე შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელთა მონაწილეობით. დამტკიცებულია 2019-2020 წლებში გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად განსახორციელებელი სამოქმედო გეგმა, საკრებულოს 2018 წლის 14 დეკემბრის №130 განკარგულებით.

- მუდმივად ხდება ხაშურის მუნიციპალიტეტში არსებული გენდერული ვითარების, ქალთა პრობლემებისა და გამოწვევების, ასევე მუნიციპალიტეტის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული პროექტების ანალიზი გენდერულ ჰქონილ ში.

- საბჭოს წევრებმა მოისმინეს მუნიციპალიტეტში ჯანდაცვისა და სოცურუნველყოფის სფეროში განხორციელებული მუნიციპალური პროგრამების გენდერული ანალიზი, რომელმაც აჩვენა, რომ 1600-ზე მეტი ბენეფიციარიდან, 60% ქალია.

- მუნიციპალიტეტის კულტურულ ცხოვრებაში მოქალაქეთა ჩართულობისა და შემოქმედებითი საქმიანობის უზრუნველყოფისთვის დახარჯული ბიუჯეტის ანალიზმა ასევე ქალთა აქტიურობას გაუსვა ხაზი.

- საბჭოს წევრები შევხდით საქართველოს სახალხო დამცველის გენდერის დეპარტამენტის წარმომადგენლებს, ეწ. გამყოფი ზოლის მიმდებარე სოფლების: ჩორჩანისა და წაღვლის საინიციატივი ჯგუფების წარმომადგენლებთან ერთად, სადაც განვიხილეთ საზღვრისპირა სოფლების მოსახლეობის საჭიროებები აგრეთვე, აღნიშნული სოფლების წარმომადგენლელთა გენდერული საბჭოს შემადგენლობაში შევვანის საკითხი. შედეგად, საბჭოს შემადგენლობას დაქმატა სოფელ ჩორჩანის, როგორც გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლის ქალთა წარმომადგენელი. უახლოეს სხდომაზე კი იგეგმება სოფელ წაღვლის წარმომადგენლის დამატება საბჭოს წევრად.

- არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალთა საინფორმაციო ცენტრმა“ პროექტ „ადმინისტრაციულ სასაზღვრო ზოლთან მცხოვრები ქალების მონაწილეობა კარგი მართველობისთვის“ ფარგლებში, გამართა ტრენინგი ხაშურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებისა და წაღვლის თემის საზღვრისპირა სოფლების მოსახლეობის ერთობლივი მუშაობის ხელშესაწყობად.

კანონმდებლობით დადგენილი წესით გამართულ საჯარო შეხვედრებზე მოვისმინე საკრებულოს 20 წევრის წლიური ანგარიში. საკრებულოში დასაქმებული პროფესიული საჯარო მოხელეების პროფესიული განვითარების მიზნით, მათი პროფესიული უნარ-ჩვევების ამაღლების, წახალისების, პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრისათვის განხორციელდა მოხელეთა კომპეტენციების შეაღებული შეფასება. საბოლოო შეფასების ჩატარება გათვალისწინებულია დეკემბრის თვეში.

როგორც საკრებულოს თავმჯდომარე, გმონაწილეობ შიდა ქართლის სამსახურ-საკრებულტაციო საბჭოს სხდომებში, სადაც განვიხილავთ მუნიციპალიტეტში მიმდინარე საკითხებს და საჭიროებებს.

ლია შეხვედრების ფარგლებში, ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფლებსა და დასახლებებში მიმდინარეობს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების, სამხარე ადგილობრივი ხელისუფლების შეხვედრები მომადგენლების და აღგილობრივი ხელისუფლების შეხვედრები მოსახლეობათან. 50-მდე შეხვედრა ჩატარდა, რომლის მიზანია მოსახლეობის საჭიროებების, პრობლემების გამოვლენა და მათი გადაჭრის გზების ერთობლივად დასახვა.

ამ დღეებში, შევხდით მთავრობის მეთაურს, პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიას, რომელმაც აღგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისგან მოისმინა ინფორმაცია რეგიონში არსებულ გამოწვებებზე, რომელთა მოგვარება მხოლოდ აღილობრივი ხე-

ლისუფლების ძალისმევით ვერ ხერხდება. პრემიერის განცხადებით, ერთ-ერთი მთავარი მიზანია, ხელისუფლების მოქმედება უფრო ეფექტური გახდებით.

მუდმივად გვედები მოქალაქეებს განსაზღვრულ დღეებში, პირადად ვაცნობ მოსახლეობას ინფორმაციას ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გაწეული საქმიანობისა და დაგეგმილი პროექტების შესახებ. ჩატარებული 100-ზე მეტი შეხვედრა და შევხდი 1500-ზე მეტ ამომრჩევების. ახალგაზრდობასთან დიალოგის ფარგლებში, შევხდი ხაშურის ილია ჭავჭავაძის სახელობის 3 საჯარო სკოლის უფროსებლას და სამოქალაქო განათლების პედაგოგ გორგი გოგინაშვილს, გავეცანით მათ

მიერ წამოჭრილ საკითხებს და ვესაუბრეთ მათი გადაჭრის გზებზე. მნიშვნელოვანია მონაწილეობა ისეთ დონისმიერებებსა და აქციებში, როგორებიცა: 22 პრილის იმერეთის ქუჩაზე მდგრად ახლადაშენებულ სპორტგოლმებების ეზოში გამწვანების აქცია, მსოფლიო კამპანია - „დავასუფთავოთ მსოფლიო“, დაბა სურამში, სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე ხეების დარგვა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად.

ვონაწილეობდი სხვადასხვა ფორუმებსა და შეხვედრებში.

მოკლედ მინდა შევხეო იმ შეფასებებს, რომელიც საკრებულომ არასამთავრობო ორგანიზაციების და საერთაშორისო ინსტიტუტების კვლევებით მიიღო.

ინფორმაციის „თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ (IDFI), კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრის (CTC) და მმართველობითი სისტემების განვითარების ცენტრის (MSDC) მიერ ჩატარდა 2019 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსის კვლევა. ინდექსი სწავლობს და აფასებს საქართველოს მუნიციპალური ხელისუფლების გამჭვირვალობას, მოქალაქეთა მიმართ ანგარიშვალდებულებასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის ხარისხს.

საქართველოს მუნიციპალიტეტების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების 2019 წლის ეროვნული შეფასების შედეგების მიხედვით, შეფასების 100%-იან შეაღაზე, ხაშურის მუნიციპალიტეტის საშუალო შედეგი 31%-ია, რაც 8%-ით აღემატება 2017 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს (23%). უშაუალოდ საკრებულოსი, კი - 41%.-ია.

საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების ინდექსში მუნიციპალიტეტის მაჩვენებელია 23%.

ელექტრონული მმართველობის ინდექსში 40%, აქედან საკრებულოს და კომისიების სხდომების გამოქვეყნება-100%.

მოქალაქეთა მონაწილეობა და ანგარიშვალდებულება-50%, მათ შორის საკრებულოს სხდომებში მოქალაქეთა მონაწილეობა-30%, საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა - 80%, სოციალურ ქსელებში მუნიციპალიტეტის აქტიურობა - 100%.

უკლა პარამეტრს არ ჩავუდრმავდებით, აღნიშნული შედეგით, ხომ აღნიშნული კვლევით, ხაშურის მუნიციპალიტეტებს შორის. თუმცა ეს არ გვაძლევს მოდუნების უფლებას, პირიქით, გვაძლევს სტიმულს, რომ რეკომენდაციების გათვალისწინებით, ვიქცეო უფრო გამჭვირვალე, ანგარიშვალდებულ და პროგრესულ თვითმმართველობის ორგანოდ, ვინაიდან ძლიერი თვითმმართველობა და ძლიერი მუნიციპალიტეტი არის ძლიერი ეკონომიკისა და ძლიერი ქვეყნის წინაპირობა.

დაბოლოს, მადლობა მინდა გადავუხადო საკრებულოს მთლიან შემადგენლობას, მუნიციპალიტეტის მერიას და საკრებულოს აპარატს, პარლამენტის წევრის ბიუროს თანამდებობისათვის.

შერის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი 50 000 ლარზე მეტი დირექტორის ინფრასტრუქტურული ობიექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ინსპექტორების ანგარიშის (ექსპერტიზა) და სამშენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურების გაწევა, ასევე 2019 - 2020 წლებში დაწყებული და მრავალწლიანი სამშენებლო სამუშაოების საზედამხედველო მომსახურება სამუშაოების დასრულებამდე “ და „2019-2020 წლების განმავლობაში საშურის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი 50 000 ლარზე მეტი დირექტორის ინფრასტრუქტის აქტიურობაში და სამშენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურების გაწევა, ასევე, 2019 - 2020 წლებში დაწყებული და მრავალწლიანი სამშენებლო სამუშაოების საზედამხედველო მომსახურება სამუშაოების დასრულებამდე შპს „ოპტიმალ გრუპ +“-ის მიერ, თუმცა რთხოვ მათგანში ხაწილობრივ დამატებულდება.

2019 წლის I - III კვარტალში გაფორმდა ხელშეკრულებები ჯამური ღირებულებით 15 640 107.94 ლარი.

ზემოაღნიშნული შესყიდვებიდან გამომდინარე გამომდინარე შესყიდვების საშენებლო მომსახურების გაწევა, ასევე 2019 - 2020 წლებში დაწყებული და მრავალწლიანი სამშენებლო მომსახურების სამუშაოების საზედამხედველო მომსახურება სამუშაოების დასრულებამდე შპს „ოპტიმალ გრუპ +“-ის მიერ, თუმცა რთხოვ მათგანში ხაწილობრივ და სამშენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურების გაწევა, ასევე, 2019 - 2020 წლებ

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ბმ“ #41)

ხაშურის რეგიონიდან სამხრეთ საქართველოსთან დამაკავშირებელი გზა გადიოდა აგრეთვე მდინარე ძამის ხეობაზეც: - წრომი - ყელეთი - ორთუბანიან - ხცისი - ღართა - ძამა - სათიბები - ორივე გზა გუჯარეთში იყრიდა თავს.

ადნიშნულ გზებს იცავდა და აკონტროლებდა ციხესიმაგრები. ხაშურს რაიონის ციხე-სიმაგრეები და კოშკები საქართველოს საფორტიფიკაციო ნაგებობების ორგანულ ნაწილს წარმოადგენდა მათთან „ჩართულობის“ თვალსაზრისით. ეს განსაკუთრებით ცხადად ჩანს მის მომიჯნავე რეგიონების საფორტიფიკაციო ნაგებობებთან მიმართებაში. როგორც სამხრეთ, ისე დასავლეთ საქართველოდან ქართლისაკენ მომავალ გზებზე განთავსებული ციხე-სიმაგრეები და კოშკები ერთმანეთთან არის დაკავშირებული. ერთმხრივ ახალციხისა და ბორჯომის, მეორის მხრივ ხარაგაულისა და ხაშურის ციხე-სიმაგრეები ქარელის, გორისა და ქასპის რეგიონების ციხე-სიმაგრეებთან ერთიან სათავდაცვო და სასიგნალო სისტემას ქმნიდნენ.

ქართლიდან დასავლეთ საქართველოსკენ მიმავალი გზების განშტოება და დაღალულისთან უნდა მომხდარიყო. აქედან ერთი გზა ალის ფრონეს მიუკვებოდა, ხოლო მეორე - სურამის ფრონეს.

დაღალულადან ალის ფრონებს მიმართულებით გავივლით სომანეთს, ვაკას აძვისს, ნაბახტეეს და შევდივართ ალში. ეს გზა ისტორიული ალის ხეობაში გადის, შემდეგ, ალის ციხის ზემოთ იწყება ჭერათხევის ხევი. აქედან დასავლეთ საქართველოში ორი გზა გადადის, ესენია ჯვარ-კორტოხისა და დედაბერასი. ეს გზები სხვა გზებთან შედარებით, როგორც ჩანს, უფრო მოხერხებული უნდა ყოფილიყო. ამ გზებს აღმოსავლეთიდან იცავდა ალის ცნობილი ციხე, რომელიც ალის ზემოთ, ხეობის მოვიწროებულ ადგილზე მდებარეობს. ეს ადგილი ალის ფრონებს ხეობაში უკეთადა სტრატეგიული ადგილია. ციხე კეტაგს ხეობას. მას აღმოსავლეთიდან ჩამოუდის ალის ფრონებ. მდინარეს ორივე მხრიდან, აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან მოები მოავიწროებს მის ზემოთ ხეობა შედარებით იშლება, ხოლო ქვემოთ, ალისკენ საკმაოდ გაშლილია, სადაც ალის ცნობილი ჭალა უნდა ყოფილიყო.

ძუნებრივად გამაგრებული ეს ადგილი სხვაგვარადაც ყოფილა გამაგრებული. ჯერ ერთი, რომ იქვე მდინარის პირიდან დაწყებული შემაღლებულ გორაკზე იგდა ციხე, და მეორეც, უას შარდენის ცნობით, ციხის ზემოთ, ხეობა ხელოვნურად იყო ჩაკეტილი. უას შარდენი წერს: „23-ში ალიონზე აქვდან (გორიდან-თ.ლ) გავედით. მარცხნივ ჩამოვიტოვეთ ახალციხისაკენ მიმავალი გზა. შუადღისას ჩავედით ერთ პატარა ქალაქში, რომელსაც ალი ეწოდება. იგი მთებშია გაშენებული, გორიდან ცხრა ლიეს დაშორებით. ამ ქალაქიდან ორი ლიე ვიწრო ხეობით ვიარეთ, რომელიც ხის კარიბჭით (ხაზი ჩვენია - თ.ლ.) ბოლოვდება, ეს არის საქართველოსა და იმერეთის სამეფოს საზღვარი“.

ალის ფრონებს ხეობის ასეთი დაცულობა გვაფიქრებინებს სწორედ, რომ აქედან იმერეთში გადასასვლელი გზები კველაზე მოსახერხებელი ჩანს და უფრო მეტად უნდა ყოფილიყო გამოყენებული საუკუნეების მანძილზე სურამის გადასასვლელებთან (რიკოთი, ფონა) ერთად. სწორედ ალის ფრონებს ხეობის გზებით (ჯვარ-კორტოხი, დედაბერა) უნდა ხდებოდეს ინტენსიური ურთიერთობა დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის. ორივე გადასასვლელს იცავს საქმაოდ მაგარი ციხეები, აქვეა ქალაქები და სხვა. ამ ადგილებში მოპოვებული არქეოლოგიური მასალაც ამაზე მიგანიშნებს. ამ გზებით შემოდის ქართლში დასავლურ-ქართული და პირიქით, აქედან გადადის დასავლეთ საქართველოში აღმოსავლურ-ქართული კულტურის ელემენტები. ამ ადგილებში ქარგად ჩანს აღმოსავლურ-ქართული და დასავლურ-ქართული კულტურების ურთიერთობა.

ალის ფრონებს ხეობიდან დასავლეთისკენ მიმავალი ერთი გზა მდინარეს მიუკვებიდა დინების საპირისპიროდ და ჯვარ-კორტობის გადასასვლელით კოლბეურში შედიოდა. აქედან გზა ერთის მხრით საჩხერება, ხოლო მეორეს მხრით სვერული მიდიოდა.

ქან შარდენი ალზე გავლით კოლბეურით გადადის იმერეთში. თბილისი - გორი - ურბნისი - ალი - კოლბეური - საზანო, ასეთია ქან შარდენის მარშრუტი. იგი უკან იმავე გზით ბრუნდება თბილისში: „ვბრუნდებოდი იმავე გზით, რა გზითაც მოვედი“⁽¹³⁾.

შეორე გზაც ასევე მდინარეს დინების საპირისპიროდ მიუკვებოდა, შემდეგ მარცხნივ გადაუხვევდა და ახლა ულუმბის წყალს აუკვებოდა. შედიოდა ულუმბოში აქედან კი შემდეგი მარტოუტით: ულუმბა - დედაბერა - ლოდორა - ლიხი - ნადაბური - ციცქიური - ლაშე, შესაძლებელია შორაპანში მოხვედრა. შორაპანშივე შემოღილა ჯვარ-კორტოხის გზაც. აქვე იყრიდა თაგვს სურამიძან და ქვიშეხო-ციხისძირიდან მომავალი გზებიც. აქ კი შორაპნის ცნობილი ციხე აკონტროლებდა და იცავდა ამ გზებს.

ისიც უნდა შევიზნოთ, რომ კოლბეურით შეიძლება მოხვედრა მეორე, ულუმბის გზის მარშრუტზეც სოფელ ქვედა ლიჩთან. საცალფეხო გზით კოლბეურიდან შეიძლება მოხვედრა სოფელ ციცქიურშიც.

ქართლიდან ლიხომიმერეთში გადასასვლელად ორივე გზით სარგებლობა არამარტო აღიდან შეიძლებოდა არამედ წადვლზე გავლითაც იყო შესაძლებელი. ეს გზა აბისზე გამოიყლიდა, შევიდოდა წადვლში, გაივლიდა „წადულისთავე“, შემდეგ ბობოკინსა და ამავე სახელწოდების დელით ჩადო-ოდა ჭერათხევში, ალის ციხის ზემოთ.

აღნიშვნელი გზები დასტურდება ქართულ საისტორიო წყაროებში, გზები „გზა დასავალისათ“-ს მხოლოდ ერთი ნაწილია.

ულუმბაზე მიმავალი გზა, რომ ჯერ კიდევ ანტიკურ და ადრეფერდალურ ხანაში ინტენსიურად გამოიყენებოდა, ამაზე უნდა მიგვანიშნებდეს აქ, VI საუკუნის შუა ხანებში ასურელ მამათა ერთ-ერთი წარმომადგენლის - მიქაელის დამკიდრებაც. ალბათ ეს ფაქტი იმაზეც უნდა მიგვანიშნებდეს, რომ ადრეფერდალური ხანის დასაწყისში, ულუმბის გზა უფრო მოხერხებული იყო და აქედან გამომდინარე უფრო ინტენსიურად გამოიყენებოდა კიდრე ამ რეგიონის სხვა გზები.

ამ გზების ინტენსიურად გამოყენების არაერთი ცნობაა დაცული ქართული წყაროებში. ასე მაგალითად, 853 წლის აგვისტოში კვერცხობთან არაბეთთან დამარცხებული თეოდოსი ამ გზით ბრუნდება დასავლეთ საქართველოში. 1068 წელს ამ გზით გადავიდა დასავლეთ საქართველოში თურქ-სელჩუკები და სვენის ციხე დაარბიეს.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საფორტიპიკაციო ნაგებობები

ულემბის გზის მაჩვენებელია თემურ ლენგის მიერ აქ მონასტრის დანგრევა, ქუცნა ამირეკიბის სიგელში ჩამოთვლილი სოფლები, რომლებიც ზემოთ აღნიშნულ გზებზე გვხვდება (ღოღორა, ლიჩი, გოლისი).

ულუმბის გზით, რომ სშირად სარგებლობდნენ, ამასე უნდა მიგანიშნებდეს XVIII საუკუნით დათარიღებული ერთი ხალხური ლექსიც:

„ელიუმბის ქედსა გადმოვსდექ, სევდა ავეყარე გულისხ, დაკხედე ქართლის სირონსა ლვოთისაკენ დასახულისა, დავაგდე ქაჯოა ქვეყანა ტალახით გამბასრულისა, ვინც იყოს მათი მოყვარე გახდეს მაპშადის რჯულისა. ძლივდა გადმოვველ ჯურმულით, ვნახე მშრომელი ქვეყანა გული გამეღო, რომ ვნახე ცა გადაშლილი და ყანა, ძლივ დავინახე მინდორი ზურმუხტად გამწვანებული, აქა-იქ ნიავეჭარისგან ზღვისაებრ მოღელებული“.

„როდესაც ვახტანგ მეფე წამოსულია იმერეთიდან სურამის მთაზე, ეს ლექ-სი უთქვამსო. ზოგნი ამბობენ, რომ ბა-ტონიშვილს ბაქარს უთქვამსო, როდესაც ქართლში გადმოსულია იმერეთიდან, სა-და თავი დაუკავია“.

ერთ-ერთ მოგვიანობრივ დოკუმენტში, რომელიც XIX საუკუნის I ნახევრით თარიღდება, დეტალურად არის აღწერილი ქუთაისიდან გორამდე გზა, რომელიც, ცხადია, ლიხის ქედზე გადიოდა და ჭერათხევის გავლით მიემართებოდა. საბუთში ნათქვამია: „წინეთ განზრახახულსა გზასა ექმნების შემდგომი მსვლელობა: ქუთაისითვან სიმონეთის სტანციაში, მუნიციპან ყვირილის ფოჩტაში, ამ უკანასკნელის სტანციიდან წავა და ყვირილის მდინარეს პირს მარჯვნივ დასტევებს და ოსმალთ ნახიდვარზედ, რომლის ხელახლავ გაკეთება შეიძლება, მივა. აქ წყალშით გავა და წასული შორაპნის ძველს ციხეს მარცხნით დასტევებს. იქიდამ ქანდარაზედ ავა და ნაჯიხურევს გადიარს, ულევის ეწერზედ შედგება. იქიდამ თვალუეთის საქცევაზედ მივა. თვალუეთის სოფელს მარცხნივ დასტევებს, წავა ისე ეწერით, მანდაქთის საზღვარზე მივა. მანდაქთს სოფელს მარჯვნით დასტევებს და იქიდან წავა, კორბოულის საზღვარში შევა, შომარეთის სოფელს მარცხნივ დასტევებს, დაადგება ჭალაზედ და მივა გორათის პირზედ გაიარს, იქიდან წავა და ძორულაზე მივა. მარების ნახიდვას ეძახიან, იქ ხიდი მოუნდება ხის, დაყვება რა ხევს და დელეს დასტევებს მარჯვნივ და ჭერათხევში (ხაზი ჩვენია - თ.ლ.) ჩავა, აქედან ქართლის სამზღვარში შევა, სოფელს აბანოს. იქიდამ სოფელს მფას (ფცა - თ.ლ.) ან თავს გადაუარს და ან შეუაზედ გაიარს. იქიდამ არადეთს ჩავა, საიდამაც ქალაქს გორამდე დაშოტება არა უმეტესი ოცდაორისა ვერსტისა, ხოლო სურამამდე, ანუ ჭალის ფოჩტამდე, ოცდასამი ვერსტი. ეს გზა იქმნების თვით საიმედო და პსწორი საქართულოსა და იმერეთს შინა“.

როგორც ვხედავთ, დოკუმენტის მიხედვით, საუბარია იმ გზაზე, რომელ-იც ჭერათხევიდან სოფელ წაღლება გაიღლიდა და აქვდან კი თავისუფლად შეიძლებოდა სოფელ აბანოში მოხვდება.

ალის ფრონებზე გამავალი გზების ინტენსიურად გამოყენებაზე უნდა მეტყველებდეს აյ შემთხვევით თუ არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალა. მხედველობაში გვაქვს სამონეტო განძები და მონეტები, რომელთა ქრონოლოგიური არეალი ანტიკური ხანა - გვიანეოლალური ხანა: ალის ციხის სიახლოეს ადგილი ჰქონდა სამონეტო განძების შემთხვევით აღმოჩენის სამ შემთხვევას. გარდა სამონეტო განძებისა, ალის ციხის მიდამოებში აღმოჩენილია სხვადასხვა პერიოდის მონეტები. მაგალითად, ადრეელინისტური ხანის ერთ-ერთ სამარხში აღმოჩენილია კოლხური მონეტები, ე.წ. ნახევარდრაქმები. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს აქვე, ადგილ „გასაყიდლიანო კენახში“ ნამოსახლარზე აღმოჩენილი ჩინური მონეტა, რომელიც 1200 წელს არის მოჭრილი. ეს არის ერთადეკრთი შემთხვევა საქართველოში ჩინური მონეტის აღმოჩენისა.

ალის ფრონებს აუზში ზემოთ აღნიშნულ გზებს დარაჯობდა ციხე-სიმაგრეები და. ყველა ქს ნაგებობა მდ. ალის ფრონებს აუზში არის. ქსენია დაღალულას კოშკი, ვაყის კოშკი, ნაბახტევის ნაციხვარი და ალის ციხე. დაღალულა სოფელ გომის აღმოსავლეთით 1 კმ-ზე, მდებარეობს მისსავე სახელდგბულ მინდოორზე, შემორჩენილია სწორკუთხა კოშკის ნაგრძვები, რომელიც XVII ს-ით უნდა თარიღდებოდეს. კოშკი ნაგებია ქვიშაქვით და რიყის ქვით. ძლიერ დაზიანებულია, შემორჩენილია მხოლოდ ერთი კუთხის ნაწილი. დადალულადან ალის ფრონებს აყოლებით გვხვდება ნასოფლარი სომანეთი, შემდეგ ვაყა. აქ სოფლის ცენტრში მდებარეობს ეკლესია, რომელზეც აღმოსავლეთიდან მიღიგმულია გვიანდელი კოშკი, რომელიც გამოიყენებოდა, როგორც საცხოვრებლად, ასევე თავდაცვის მიზნით.

სოფელ ვაყის შემდეგ ქვემო და ზემო აძვისია, აქედან კი ნაბახტევში შე-
ვდივართ.

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით „ვაყის ზეით არის ნაბახტევი და ნაციხ-ვარი.

ჩვენს კურადღებას სწორედ ეს, ვახუშტისეული „ნაციხვარი“ იქცევს, რომელიც სოფლიდან დასავლეთით ლიხის ქედის შემაღლებულ ფერდობზე მდებარეობს, იქ სადაც ნაბახტევის დათისმშობლის ცნობილი ეკლესია.

ვახუშტი ბატონიშვილის დროს ნაბახტევში ციხე აღარ არის. ამაზე მეტველებს სწორედ მისეული ნაციხარი, აქეთ უნდა შევნიშნოთ, რომ ნაციხარი ცალკე გეოგრაფიული პუნქტი ჩანს ვახუშტის მიხედვით, რაზეც უნდა მიგვანიშნებდეს ვახუშტის სიტყვები, ვაყის ზეით არს ნაბახტევი და ნაციხარი“.

ნაციხეარი ალის ფრონებს (ჭერათხევის) ცნობილ ხეობას გადაჟურებს. აქ ხეობა გაშლილია. ნაციხეარიდან კარგად მოჩანს ალის ციხე, რომელიც კეტავდა ხეობის ზემოვანებს.

ნაბახტევი ქართულ საისტორიო წეროებში XV საუკუნის დასაწყის-დან გვხვდება. იგი (მისი ნაციხეარი) ცნობილი ფეოდალური გვარის- გა- ბელიძე-ამირეჯიბების რეზიდენცია უნდა ყოფილიყო, რაზეც მიგვანიშნებს ქუცნა ამირეჯიბის სიგვლი.

თემურ ლენგის მიერ, 1403 წელს, ალის ფრონებს ხეობის აოხრების შემდეგ, ქუცნა ამირეჯიბის სახელთან დაკავშირებულია ამ ხეობაში განხორციელებული აღმშენებლობითი საქმიანობა გარდა ულუმბოს, ალის და სხვა ცნობილი პუნქტებისა, ქუცნაშ ნაბახტევიც აღადგინა. ამ შერივ, განსაკუთრებით საყურადღებოა ნაბახტევში, ნაციხეარის ტერიტორიაზე არსებული დათისმშობლის კლებია, რომელიც ამ პერიოდის კლების მხარევრობითაა ცნობილი.

Digitized by srujanika@gmail.com

ხაშურის შემოვლითი გზის 13 კილომეტრიანი მონაკვეთის მშენებლობა 2020 წელს დასრულდება

2020 წლიდან რიკოთის, ქვეშეთი-კობის და საერთაშორისო მაგისტრალური გზების სხვა მონაკვეთების მშენებლობა აქტიურ ფაზაში გადავა. ამის შესახებ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ, საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი ქარსელაძემ პარლამენტში, საკომიტეტო მოსმენაზე განაცხადა.



ურნალის „გზავნილი ხაშურიდან“ პრეზენტაცია

28 ოქტომბერს, ხაშურის №1 საჯარო სკოლაში, გაიმართა ურნალის „გზავნილი ხაშურიდან“ პრეზენტაცია. აღნიშნული ურნალის წარდგენა, უკვე მოხდა თბილისში და მკითხველს მიეცა შესაძლებლობა, უფრო ახლოს გაეცნო ჩვენი მუნიციპალიტეტი, აქ მცხოვრები ადამიანები თავისი ყოფითა და ცხოვრებით. თბილისიდან, ემოციის გაზიარება, უკვე ჩვენს საზოგადოებასაც ერგო წილად. ურნალის წარდგენას, ის რესპონდენტებიც ესწრებოდნენ, რომელთა ცხოვრებამ და საქმიანობამაც ასე საინტერესო საკითხავი გახადა ურნალი. როგორც ურნალის რედაქტორმა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა მაია ტორაძემ ჩვენთან საუბარში აღნიშნა:

—2013 წლიდან გამოდის ურნალი „გზავნილი“ და ბეჭდური მედია-პრაქტიკუმის ფარგლებში, სტუდენტები ჩაგვავს სხვადასხვა რეგიონებში, სადაც ეცნობიან იქ არსებულ მდგომარეობას, ეძებენ და ხვდებიან საინტერესო ადამიანებს, რესპონდენტებს, ეგუებიან გარემოს. ამ შემთხვევაში, შევარჩიეთ გზავნილი ხაშურიდან. მონაწილე სტუდენტები მხოლოდ გავლით იყვნენ ნამყოფი ხაშურში და თითქმის არაფერი იცოდნენ ხაშურზე. გადავწყვიტეთ, გვევენებინა ხაშური ისეთი, როგორიც ის რეალურადაა. თბილისში გამართულ პრეზენტაციაზე, გამომსვლელებმა მადლობა გადაგვიხდეს იმისთვის, რომ გავაცანით მათ ეს მუნიციპალიტეტი სხვა კუთხით. ურნალის ამ ნომერებზე იმუშავა 11-მა სტუდენტმა, ფოტოები და ურნალის გარეკანი ეკუთვნის ლიანა მარქარიანს. ურნალის გარეკანზე დაბე-

ამ დროისთვის ჩაროსნული მაგისტრალების ნაწილში აშენებულია 200 კმ გზა და სამუშაოები მიმდინარეობს 140 კმ-ზე.

„მიმდინარე წელს აქტიურად მიმდინარეობს საქართველოს მთავარი საგზაო მაგისტრალების 60, 70 და ჩრდილოეთ-სამხრეთის (ჟივალი-ლარსი) ჩაროსნულ გზატკეცილად მოდერნიზების პროექტები.

ამ დროისთვის ჩაროსნული მაგისტრალების ნაწილში აშენებულია 200 კმ გზა და სამუშაოები მიმდინარეობს 140 კმ-ზე, 2020 წელს აქტიურ ფაზაში გადადის რიკოთის, ქვეშეთი-კობის და საერთაშორისო მაგისტრალური გზების სხვა მონაკვეთების მშენებლობა, სამუშაოები იწარმოებს 175 კმ. გზაზე, რომელთა ჯამური ლირებულება 5 მილიარდ ლარს შეადგენს“, - განაცხადა ქარსელაძე.

მისი თქმით, მიმდინარე წელს, სამუშაოები დაიწყო რიკოთის უდელტეხილის ხევი-უბისას და უბისა-შორაპანის მონაკვეთებზე, გაფორმდა ხელშეკრულება პირველ ლოტზე და მეოთხე მონაკვეთზე კი მიმდინარეობს სატენდერო შერჩევა-შეფასების პროცედურები. წლის ბოლომდე აქაც დაგეგმილია ხელშეკრულების გაფორმება.

„ამასთანავე, 2020 წელს დაგეგმილია სხვადასხვა მონაკვეთების დასრულება, მათ შორისაა ხაშურის შემოვლითი გზის 13 კმ-იანი, ქუთაისის შემოვლითი გზის 41 კმ-იანი, სამტრედია-გრიგოლეთის გზის 14 კმ-იანი მონაკვეთები“, - აღნიშნა ირაკლი ქარსელაძემ.

საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიმდინარე პროექტებზე დასაქმებულია 9000-ზე მეტი ადამიანი და მაგისტრალური პროექტების განვითარებასთან ერთად, ეს რიცხვი მნიშვნელოვად გაიზრდება, რაც მნიშვნელოვანია როგორც ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების, ისე კვალიფიკაციის ამაღლების თვალსაზრისით.



ჭდილმა ფოტომ, გაიმარჯვა საუკეთესო ფოტოს კონკურსში. დღევანდელი ჩვენი მიზანია, იმ ადამიანებს, რომლებმაც დახმარება გაგვიწიეს, რომლებიც მონაწილე არიან ურნალის შექმნის, ვაჩვენოთ, რა პროდუქტი შეიქმნა. მინდა, მადლობა გადავუხადო, მერიისა და საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, №1 საჯარო სკოლის დირექტორს და უამრავ ადამიანს, რომ არა მათი თანადგომა, ურნალი ასეთი საინტერესო და კითხვადი არ იქნებოდა.

„ათასწლეულის ფონდმა“ ახალი კონკურსი გამოაცხადა

26 ოქტომბერს ათასწლეულის ფონდმა ათასწლეულის ინფორმის კონკურსის გამოცხადებისა და STEM მენტორთა



კლუბის დაარსების დონისძიება გამართა, სადაც მოეწყო წინა წლების კონკურსების ფინალისტების პროექტების გამოფენა. დონიძიებაში მონაწილეობა მიიღო ხაშურის I საჯარო სკოლის პედაგოგმა ნანა დაბრუნდაშვილმა, რომელიც მსგავს პროექტებში ბერვჯერ მონაწილეობდა და წარმატებითაც. კონკურსის მიზანია სკოლის მოსწავლეების ინტერესის და მოტივაციის ამაღლება საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, ტექნოლოგიების, ინინერიის (STEM) და ინოვაციების მიმართ.

კონკურსში გამარჯვებული, პირველ ადგილზე გასული გუნდი 2020 წელს გაემგზავრება ASA-ს კოსმოსური ცენტრის უნივერსიტეტში და მონაწილეობას მიიღებს ცენტრის სასწავლო პროგრამაში. ხოლო მეორე და მესამე ადგილზე გასული გუნდები მიიღებენ საეციალურ ჯილდოებს.

ათასწლეულის ინოვაციის კონკურსი 2014 წლიდან ხორციელდება საქართველოში აშშის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. პროექტის მხარდამჭერია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო. კონკურსში დღეისათვის 1500-ზე მეტ მოსწავლეს აქვთ მონაწილეობა მიღებული. დონისძიების ფარგლებში გამოცხადდა STEM მენტორების კლუბის დაარსება, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ინოვაციებსა და ტექნოლოგიებში ახალგაზრდა გამომგონებლების მოზიდვას და მათი პროექტების, იდეების განხორციელებას





შემოდგომა ჩვენს მუნიციპალიტეტში. ცხრამუხა. გადრი ვადაჭყორიას ფოტო.

- იუმორი -

ქართლში გავრცელებული ზედმეტსახელები (ნაწილი მესამე)

ჩვენი მკითხველი, გაზეთის წინა ნომრებში, გაეცნო ქართლში გავრცელებულ ზედმეტსახელებს, რომლებშიც, იუმორთან ერთად, დიდი შინაარსიც დგვს. სტატიებს დიდი გამოხმაურება და მოწონება ხვდა წილად. მას შემდეგ, ზოგი ჩვენივე მოძიებით, ზოგიც მკითხველთა დახმარებით, ზედმეტსახელთა “კეისი” კიდევ შეიიღო და დღეს მორიგ “მარგალიტებს” გთავაზობთ.

პლაცაპლუცება გრიშა-ხეში ჩარჭობიდ ნებისმიერ დურსმანს შიშველი თითებით აძრობს.

კუჭშიგაუსგლელი ანტონა-210 კილომ.

იმავე სოფელში ცხოვრობს ფანერკა გიგი-მთელი ცხოვრებაა 40-დან 45-კბ-მდე მერყეობს.

ორნახადი მურადი-ჯერ ბავშვობაში ჩაგარდა დორის გასაფუფქ ქაბში, შემდეგ-დიდობაში, ორივეჯერ გადარჩა.

უთავო მხედარი ბალიკო-სსრკ-ის დროს, კოლმეურნეობაში, მეველუდ მუშაობდა, რამდენჯერ ცხენზე ამხედრდა, იმდენჯერ ან ხეს შეასკდა, ან ჩამოვარდა.

არსაკიძე ბუხუტი-კომუნისტების დროს, სახლი ააშენა, პირველი სართულის სიმაღლე 2 მეტრი და 30 სანტიმეტრი იყო, მაშინდელმა ადგასერმა გააფრთხილა, დაწიე სიმაღლე, თორექ დაგაჯარიმებთო, არ შეეპუ. მარტო ჯარიმა კი არა, სამი წელი ციხეც ახეხინეს, მოკლედ, ხელი არ მოაჭრეს, მაგრამ რატომ კარგი აგიგია და დასაჯეს.

იქაური სამსონა-ბავშვობაში რაღაც ვირუსი შეეყარა და მას შემდეგ სულ მკვდრის ფერი აქვს.

შტირლიცა ბადრი-გერმანელი ცოლი ჰყავს, გვარად მიულერი.

თავდადებული ალიოშა-რაღაც დაავადება ჭირს და დღე-დამეში 16-17 საათი ძინავს-თავი სულ ბალიშზე უდევს.

ერთგული შოთა-ბოზი ცოლი ჰყავს, თვითონაც იცის, მაგრამ ვერ ელევა.

აშშ ამირანი-ამირან შოთას ძე შუკაპიძეა.

წყალწყალა კობა-შვილი შვილი ჰყავს, შვიდივე გოგო.

პუსტა-პუსტა დარიკო-სამჯერ გათხოვდა და შვილი არ გაუჩნდა.

ტორეადორი გაუა-ბულა ჰყავდა გიუ, ვერ აკაგებდა კაციშვილი, სამჯერ ჩაულენა ნეკნები პატრონის.

გაუკ გოდერძი-სოფელში ერთ მოხუცთან იქირავა ოთახი და იმდენი მოახერხა, რომ ბოლოს ეს სახლ-კარი მისაკუთრა.

ღმერთგამწყრალი გუჯა-სამჯერ დაეცა მეხი, არ მოკლა, მაგრამ ნახევრად გამოაჩერჩეტა

სამოცდაცხრიანი ბადურა-რაც სისქე აქვს, ის სიმაღლე-გინდ შეატრიალე, გინდ შემოატრიალე, იგივეა.

ხერგიანი სოსო-სოფლის ბოლოს, მთის წვერზე აიშენა სახლი.

ვალიდოლა ლამარა-როცა რამე საქმეა, იმ წუთს, გულზე იკიდებს ხელს და ირიდებს.

ჟოფრეი მიტო-ლრმბ ნაიარევი აქს ლოფაზე და ოდნავ კოჭლობს.

ანუელიკა მარგალიტა, მიტოს ცოლია.

ნატურალური ელიკო-სოფელში ორი ელიკოა, ერთი სულ ქალაქშია და სილიკონით დაიბერა ეველაფერი.

ბროლოსნის საჯარო სკოლის პედაგოგები და ტექნიკონალი თანაუგრძნებები მანანა აბაზაძეს მეუღლის
სოსო (იოსებ) კაპანაძის გარდაცვალების გამო.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფესიონის ხაშურის რაიონული ორგანიზაცია, თავმჯდომარე ინეზა ელისაშვილი, სამიმრს უცხადებს განათლების რესურსცენტრის მთავარ სპეციალისტს, ქალბატონ მანანა აბაზაძეს მეუღლის
სოსო კაპანაძის

გარდაცვალების გამო.

D

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,

მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.

E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.

ნ-ით მონიშნული სტატია იბჭედება დაკვეთით

გაზეთი იბჭედება თბილისში.

რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.